პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.ა.კ. პ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
ს.ა.კ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 31 იანვარი, 1943 წ. № 25 (6650). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ხელოვნება მტერზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში

უდიდესი გამარჯვებები, რაც წითელმა არმიამ მოიპოვა, ათკეცებს ჩვენს ენერგიას. მას ახალი ძალით მოჰყავს მოქმედებაში ჩვენს ხელთ არსებული ყველა იარაღი. ამ იარაღთა შორის არის ხელოვნება.

ხელოვნება ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. მაგრამ იგი არასოდეს ისე არ ყოფილა დაფასებული, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წლებში. არასოდეს არ ჰქონია ხელოვნებას ისე ფართო გაქანებისა და შემოქმედებითი აყვავების ყოველგვარი პირობები, როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლები მკაფიო დოკუმენტია იმ განუწყვეტელი მშობლიური ზრუნვისა, რომელსაც ბოლშევიკების პარტია, **ლენინი** და **სტალინი** იჩენდნენ ხელოვნების თითოეული დარგის განვითარებისადმი. ამის შედეგად უაღრესად აყვავდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნება. ჩვენს ქვეყანაში ხელოვნებისადმი სტალინური ზრუნვა მკაფიოდ სჩანს ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, მხატვრობის, ქანდაკების, საერთოდ მთელი ხელოვნების კულტურის არნახულ გაფურჩქვნაში.

საბჭოთა ხელოვნება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საუკეთესო იდეალების, მის კეთილშობილურ მისწრაფებათა, აზრებისა და გრძნობების, მისი ცხოვრების გამომხატველია; იგი მისი ბრძოლის მონაწილეა, მისი ერთერთი საუკეთესო იარაღი. ამხანაგმა **სტალინმა** საბჭოთა მწერლებს „ადამიანის სულის ინჟინრები“ უწოდა. დიდია ხელოვნების, როგორც მასების აღმზრდელისა და მასებზე ზემოქმედების იარაღის როლი. ამიტომ არის, რომ გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში ჩვენი ხელოვნების იარაღი, სხვა იარაღებთან ერთად, სწრაფად მიიმართა თავდამსხმელი მტრის უკუსაგდებად და გასანადგურებლად.

ომის დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა საომარ ყაიდაზე გარდაიქმნა, საბჭოთა ხელოვნება მთლიანად ჩადგა წითელი არმიის, ფრონტის სამსახურში, რუსეთისა და უკრაინის, ბელორუსიისა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის, თექვსმეტი მომძმე რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებმა მთელი თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა, ნიჭი და პათოსი დაუმორჩილეს ერთ დიად მიზანს: ვერაგი მტრის განადგურებას და ჩვენი წმიდათა წმიდა სამშობლოს მიწა-წყლის გაწმენდას კაციჭამია ჰიტლერელ ვანდალებისაგან.

საბჭოთა ლიტერატურამ, თეატრმა, კინომ, მხატვრობამ, მუსიკამ უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. ახალი პატრიოტული ნაწარმოებები შეჰქმნეს მწერლებმა, პოეტებმა, დრამატურგებმა, მხატვრებმა და კომპოზიტორებმა; ეს ნაწარმოებები გვიძლიერებენ სოციალისტური სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულს და უსაზღვრო სიძულვილს ფაშისტი კანიბალებისადმი. ეს ნაწარმოებები აღგვაფრთოვანებენ ახალ-ახალი გმირობისათვის ფრონტზე და ზურგში.

შაგრამ ამ დიდ მიღწევებთან ერთად, ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ნაკლი. ყველა ნაწარმოები როდია იმ მაღალი მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი, რომელსაც ჩვენი მკითხველი კანონიერად უყენებს რომანს, დრამას, სპექტაკლს, ლექსს, კინოსურათს, მოთხრობას, საერთოდ ხელოვნების ნაწარმოებს. ზოგიერთი მხატვრული წიგნი, რომელიც სამამულო ომის დღეებში გამოვიდა, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ეს კიდევ უფრო მკვეთრად აყენებს მხატვრული ოსტატობის ამაღლებისა და მაღალხარისხოვანი შემოქმედებითი ნაწარმოებების შექმნის საკითხს.

კარგად მოიქცა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი, რომელმაც ინიციატივა აიღო და მოაწყო დისკუსია თემაზე—„თბილისის ქართული თეატრები სამამულო ომის დღეებში“. დისკუსია უკვე დამთავრდა და მან ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენა ის დიდი შემოქმედებითი მაჯისცემა, რომელიც საერთოდ ახასიათებს საბჭოთა ხელოვნებას სამამულო ომის ვითარებაში. დისკუსიამ მკვეთრად გამოავლინა ის წარმატებები, რომლებიც თბილისის რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებმა მოიპოვეს უკანასკნელ პერიოდში. მაგრამ, ამავე დროს უნდა ითქვას, რომ დრამატურგებს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ, რათა ჩვენს თეატრებს შეუქმნან მაღალმხატვრული დრამატიული ნაწარმოებები თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე, განსაკუთრებით სამამულო ომის თემაზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე, წითელი არმიის გმირულ ბრძოლაზე. თემა ვრცელი და მრავალფეროვანია. ამავე დროს საჭიროა თეატრებმა უფრო ახლოს მიიზიდონ დრამატურგები, უფრო მჭიდრო იყოს თეატრისა და მწერლების კავშირი.

სახელოვანი ტრადიცია აქვს ქართულ საბჭოთა თეატრს. მას ბევრი შესანიშნავი ძალა ჰყავს. სამამულო ომის ვითარებაში იგი დიდ საქმეს აკეთებს და უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, თუ უკეთესად მოაწყობს მუშაობას. საამისოდ შექმნილია ყველა პირობა.

ხელოვნება მტერთან ბრძოლაში ერთერთი ბასრი და მოქნილი იარაღია. მთელი ძალით მივმართოთ იგი სამშობლოს დასაცავად, საზიზღარი ჰიტლერული ხროვის გასანადგურებლად!

დაე ყოველი მხატვრული ნაწარმოები, ლექსი თუ მოთხრობა, ნახატი თუ სპექტაკლი მთელი ძალით აღვგაგზნებდეს სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და მტრის გასანადგურებლად. იგი ამით ეხმარება მებრძოლს ფრონტზე, შრომის გმირს ზურგში. იგი ამით ეხმარება სახელოვან წითელ არმიას, რომელიც წარმატებით ანვითარებს შეტევას და დიდი **სტალინის** უმაღლესი მთავარსარდლობით დასავლეთისაკენ მიერეკება გერმანელ ფაშისტთა ურდოებს, ანადგურებს და სპობს საზიზღარ ჰიტლერელ ავაზაკებს.

მაშ მთელი ძალით ავამოქმედოთ ხელოვნების ბასრი იარაღი გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებზე სრული გამარჯვებისათვის ჩვენს წმიდათაწმიდა ბრძოლაში!

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

მიწისძვრისაგან დაზარალებულ ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის სტალინაბადის ოლქის ფაიზაბადის, რამიტის, ორჯონიკიძეაბადისა და ნურეკის რაიონების და გარმის ოლქის ობი-გარმის რაიონის მიწისძვრისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. გამოიყოს 100 ტონა მარცვლეული სასურსათო მიზნით და 100 ტონა მარცვლეული—სათესლედ, 15 ტონა ბურღული, 10 ტონა მცენარეული ზეთი, 15 ტონა სარეცხის საპონი, 10 ტონა ბენზინი, 10 ტონა ნავთი, 1.000 კუბური მეტრი ხე-ტყე, 10 ტონა ლურსმანი, 2 ვაგონი შინა, 1.000 რულონი ტოლე, 30.000 მეტრი ბამბეული ქსოვილი.

2. განთავისუფლებულ იქნან სტალინაბადის ოლქის ფაიზაბადის, რამიტის, ორჯონიკიძეაბადისა და ნურეკის რაიონების და გარმის ოლქის ობი-გარმის რაიონის დაზარალებული კოლმეურნეობები, კოლმეურნენი და ერთპიროვნული მეურნეობანი 1943 წელს ყველა სახის ნატურალური ჩაბარებისა და ფულადი გადასახადისაგან.

3. მიეცეს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს რეზერვიდან 10 მილიონი მანეთი სკოლების, საავადმყოფოების, საყოფილოო საბჭოების, სამედიცინო პუნქტების და რაიონული ცენტრების დაწესებულებათა შენობების აღსადგენად და კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთათვის მშენებლობაში დახმარების აღმოსაჩენად.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც თავი ისახელეს სპეციალურ მშენებლობაზე

სპეციალურ მშენებლობაზე მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. გიორგი ილიას-ძე აბულაძე
2. ვლადიმერ მელიტონის-ძე კურტანიძე
3. ოვანეს აგაჯანის-ძე ტოროსიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
29 იანვარი, 1943 წელი. ქ. თბილისი.

საბჭოთა კავშირსა და ურუგვაის შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა

საბჭოთა მთავრობამ მიიღო ურუგვაის მთავრობის წინადადება სსრ კავშირსა და ურუგვაის შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და ერთმანეთთან დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნის შესახებ. ამ საკითხზე ორივე მთავრობის შეთანხმება დადასტურებულია ურუგვაის სგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ა. გუანისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის ელჩ ამხ. მ. მ. ლიტვინოვს შორის ნოტების გაცვლით.

1943 წლის 27 იანვარს ბ-ნმა ა. გუანიმ შემდეგი შინაარსის ნოტა გაუგზავნა ამხ. მ. მ. ლიტვინოვს:

„გუშინ საღამოს დიდი სიამოვნება მქონდა შეგხვედროდით და წინადადება მომეცა თქვენთვის ომის შესახებ, რომ აღდგენილი ყოფილიყო დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა, რომელსაც თქვენ ასე ღირსეულად წარმოადგენთ ვაშინგტონში, და აღმოსავლეთის რესპუბლიკა ურუგვაის შორის.

იმ მოსაზრებათა შესაბამისად, რომლებიც მე პატივი მქონდა წარმომედგინა თქვენთვის, ჩვენ შეეთანხმდით, რომ ასეთი აღდგენა მიზანშეწონილია და, როგორც კი მიპასუხებთ ამ ცნობაზე, თქვენო აღმატებულებავ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი საჭიროა, რათა ზომები მივიღო მოსკოვს სრულუფლებიანი მინისტრის გასაგზავნად, ამასთან მზად ვიქნები აგრეთვე, როგორც გუშინ შევთანხმდით, მივიღო მონტევიდეოში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სრულუფლებიანი მინისტრი“.

იმავე დღეს ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა შემდეგი შინაარსის ნოტით უპასუხა ბ-ნ ა. გუანის:

„კმაყოფილებით ვადასტურებ თქვენი დღევის რიგსეენ თავაზიანი წერილის მიღებას, რომელიც ადასტურებს თქვენს მიერ 25 იანვარს ჩემთვის მოცემულ წინადადებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და აღმოსავლეთის რესპუბლიკა ურუგვაის შორის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

ჩემი მხრივ კმაყოფილებით ვადასტურებ, რომ ჩვენ შევთანხმდით თქვენს წინადადებაზე და რომ ჩემი მთავრობა საჭირო ზომებს მიიღებს მონტევიდეოში სრულუფლებიანი მინისტრის დასანიშნავად და მოხარული იქნება მიიღოს მოსკოვს რესპუბლიკა ურუგვაის სრულუფლებიანი მინისტრი“.

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ხაყვარელო ბელადო!

ვერ გამოგვინახავს ისეთი ძლიერი და მკაფიო სიტყვები, რომ გამოვხატოთ გულისამაღლებელი ღრმა გრძნობა, რომელმაც ჩვენ მოგვიცვა, როცა ტელეგრაფმა გადმოგვცა თქვენი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა საყვარელი სამშობლოს დაცვის წმიდა საქმეში ჩვენს მიერ შეტანილი მცირედი წვლილისათვის.

მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ: ჩვენი სამშობლოს უბოროტესი მტრების—გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის სამსხვერპლოზე, იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ გერმანელ იმპერიალისტებზე, ჩვენ მზად ვართ მოვიტანოთ არა მარტო ჩვენი შრომა, ჩვენი პირადი დანაზოგი, ჩვენი ძალ-ღონე და ცოდნა, არამედ ჩვენი სისხლიც და თვით ჩვენი სიცოცხლე. აი ამიტომ არის, რომ ჩვენი პირველი შენატანი, რომელიც ტანკების მშენებლობისათვის გავიღეთ, ათასობით ფუთი პური, რაც წითელი არმიის ფონდში შევიტანეთ, ჩვენ დღეს მიგვაჩნია სამშობლოს, ფრონტის წინაშე ჩვენი ვალგადახდის მხოლოდ დასაწყისად.

თქვენმა სალამმა და წითელი არმიის მადლობამ აღგვიძრა სურვილი კიდევ და კიდევ შევამოწმოთ—ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა ფრონტისათვის, მთელი ძალ-ღონისა და სახსრების მობილიზაცია მოვახდინეთ თუ არა სამშობლოს დასახმარებლად მტერთან მძიმე და ძნელი ბრძოლის ჟამს? და ჩვენ ვხედავთ, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაგვიკეთებია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება.

ხაკასეთის ულუსებში და ტაიგის მიყრუებულ სოფლებში, ჩერნოგორსკის შახტებში და კრასნოიარსკის ქარხნებში, ენისეის თევზის სარეწებში და ტაიმირის თვალუწვდენელი ტუნდრის ბინებში — ყველა ჩვენს კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ერთი ფიქრით ცოცხლობენ ჩვენი მხარის ყველა მშრომელნი. ჩვენი ნებისყოფა გამარჯვებისადმი, ამხანაგო სტალინ, ურყევია, გადაწყვეტილება—ყოველგვარი მსხვერპლი გავიღოთ გამარჯვებისათვის — კაჟივით მაგარია, ჩვენი სიყვარული სამშობლოსადმი და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი—უსაზღვროა. დაე ამის დამადასტურებელი იყოს ჩვენი ზრუნვა წითელ არმიაზე, ზურგისა და ფრონტის ურყევი ერთიანობის განმტკიცებაზე.

ჩვენ გადავწყვიტეთ შევქმნათ წითელი არმიის სტალინური ფონდი, რომელიც წითელ არმიაზე ჩვენი ზრუნვის მატერიალური განხორციელება იქნება.

ეს ფონდი შესდგება ჩვენი მრეწველობის მთელი გეგმისგადამეტებითი პროდუქციისაგან, პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისაგან და ფულადი სახსრებისაგან, რომლებიც ჩვენი პირადი დანაზოგიდან შეგროვდება.

ვქმნით რა თქვენი სახელობის ამ ფონდს, გეფიცებით თქვენ, ამხანაგო სტალინ:

1943 წელს საჭურვლისა და საომარი მასალების წარმოება ერთნახევარორჯერ გავადიდოთ 1942 წელთან შედარებით;

შევაგროვოთ ტანკების მშენებლობისათვის არანაკლებ 100 მილიონი მანეთისა. დაე ჩვენი შრომითი მანეთები აგებულმა მრისხანე სატანკო კოლონებმა „კრასნოიარსკელმა მუშამ“ და „კრასნოიარსკელმა კოლმეურნემ“ ულმობლად ანადგურონ ფაშისტები;

წითელი არმიის პურის ფონდი, რომელსაც ჩვენი პირადი მარაგიდან ვქმნით, გავადიდოთ 250.000 ფუთამდე. დაე თითოეული ფუთი ჩვენი პური იქცეს მრისხანე იარაღად გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ;

მოვიყვანოთ 1943 წელს მაღალი, სტალინური მოსავალი, რათა უზრუნველყოთ ჩვენი ქვეყანა და ფრონტი პურით, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით;

თითოეული დიდი ქარხანა და პატარა ფაბრიკა, შახტები და სარეწაო არტელები წითელი არმიის XXV წლისთავისათვის შეასრულებენ იარაღისა და საომარი მასალების, საჭურვლისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების, ქვანახშირის ამოღებისა და პურის, ქვანახშირის, ხე-ტყის, საჭურვლის გადაზიდვის ორთვიურ გეგმას. სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მივაწევთ გადამწყვეტ წარმატებებს შრომითი ფრონტის ყველა უბანზე.

კრასნოიარსკის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრა გამოუშვას გეგმის გადამეტებით 24 მანქანა, დაზოგოს 80 ტონა ხარისხოვანი ლითონი, 80 ტონა მაზუთი, 150 ტონა მაგარი სათბობი, მოახდინოს მარტენის ღუმელის რეკონსტრუქცია და 60 პროცენტით გაადიდოს მისი სიმძლავრე. მეიარაღეთა თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ მხარის ქარხნები და ფაბრიკები. გეგმის გადამეტებით გამოშვებული მთელი პოდუქცია წითელი არმიის სტალინურ ფონდში შევა.

სტალინური ფონდი—გამარჯვების ძლიერი და მრისხანე ფონდი—შექმნილი იქნება! ამის თავდებია ჩვენი სიტყვა და ჩვენი ღირსება, იოსებ ბესარიონის-ძევ!

გეფიცებით თქვენ ამას, ჩვენო ბელადო და მასწავლებელო.

გისურვებთ მრავალი წლის ჯანმრთელობას.

წერილი მიღებულია 1943 წლის 13 იანვარს ქალაქ კრასნოიარსკის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგზე, რომელსაც დაესწრო 50.000 კაცი.

მიტინგის დავალებით საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანი
გოლუბევი.

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის და სახელოვანი წითელი ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახებისათვის ზრუნვა, მებრძოლთა და მეთაურთა, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის დაუზოგავად იბრძვიან სამშობლოსათვის, — ბოლშევიკური კანონია და უეჭველი მოვალეობაა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციებისა. ივანოვოს ოლქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, ყოველდღიურ მუშაობასთან ერთად, — 1943 წლის იანვარში ჩაატარეს „წითელი არმიისა და წითელი ფლოტის წითელარმიელთა და მეთაურთა ოჯახებისათვის დახმარების კვირეული“. ამ ხნის განმავლობაში პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა აქტივისტებმა — 20 ათასმა კაცმა—ინახულეს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები და გამოარკვიეს, თუ რა ესაჭიროება თითოეულ ოჯახს. ამასთან ერთად გამონახულ იქნა ჩვენი ფრონტელების ოჯახთა საჭიროების დაკმაყოფილების წყაროები. გაცნობებთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ კვირეულის განმავლობაში დახმარება გაეწია ფრონტელთა 96.250 ოჯახს. მიტანილ იქნა 879.450 კუბური მეტრი შეშა, გაიცა 50.000 პალტო, კოსტიუმი, ტანისამოსი, თეთრეული და სატრიკოტაჟო ნაწარმი, 112.968 მეტრი ფართლეული, 15.152 წყვილი თექისა და ტყავის ფეხსაცმელი. წითელარმიელთა და მეთაურთა ოჯახებს, რომლებსაც უჭირდათ, აღმოეჩინათ დახმარება კვების პროდუქტებით. უფასოდ გაიცა და მიყიდულ იქნა 32.479 ფუთი ფქვილი, ბურღული, მუხუდო, კარტოფილი და ბოსტნეული. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ, გაეწიათ დახმარება სხვადასხვა საკვებით — 13.287 ფუთის რაოდენობით. კოლმეურნე სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებსაც თავიანთი პირუტყვი არა ჰყავთ, გადაეცათ 250 დეკეული, ძროხა, ბატკანი და ცხვარი. ფრონტელთა 217 ოჯახი შესახლებულია უკეთეს ბინებში. 1.154 ოჯახის ბინებს გაუკეთდა რემონტი.

გარდა ყოველივე ამისა, იმ ოჯახებს, რომლებსაც უჭირდათ, მიეცა 620.742 მანეთი, რაიონულ ცენტრებში შექმნილია სათბობის მარაგი სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების უზრუნველყოფად, აგრეთვე სურსათის, ფქვილის, ბურღულის, მუხუდოს, კარტოფილისა და ბოსტნეულის ფონდები — 17.628 ფუთი. შექმნილია ტანისამოსის, თეთრეულის, ფართლეულის, ფეხსაცმლის მარაგი.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ წითელი არმიის მეომართა ოჯახებს ჩვენი ოლქის ორგანიზაციები შემდეგშიც მიაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას. დახმარება, რაც ეწევა წითელარმიელთა და მეთაურთა ოჯახებს, ხელს უწყობს საბჭოთა ზურგის განმტკიცებას და, მაშასადამე, წარმოადგენს წითელი არმიისადმი დახმარებას მის გმირულ ბრძოლაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. დაე ჩვენს სახელოვან მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებიც ანადგურებენ მტერს, მუდამ ახსოვდეთ, რომ მათი მახლობლები გარემოსილნი არიან მზრუნველობით.

საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანი პალცევი.
მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს თავმჯდომარე შუბინი.
წითელი არმიის წითელარმიელთა და მეთაურთა ოჯახებისათვის დახმარების აღმომჩენი საოლქო კომისიის თავმჯდომარე ენოდინი.

ვიცე-ადმირალ ამხანაგ ფრიბუსს, კონფრადმირალ ამხანაგ სმირნოვს, გენერალ-მაიორ ამხანაგ ვერბიცკის, გენერალ-მაიორ ამხანაგ ლებედევს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მამაც მეზღვაურებს, რომლებმაც 10.247.800 მანეთი შეაგროვეს საბრძოლო კატერებისა და თვითმფრინავების მშენებლობისათვის.

ი. სტალინი

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან წითელი ვარსკვლავის ორდენით პოლკოვნიკი შალვა ესტატეს-ძე **ცხოვრებაშვილი** და ინჟინერ-მაიორი ნარიმან ვარლამის-ძე **დალაქიშვილი.**

ქარა-მურზა





ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი. სურათზე: გერმანელთა დაზიანებული ქვემეხი, ჩამოგდებული ფაშისტური თვითმფრინავი, მებრძოლებს სარდაფიდან ამოჰყავთ დამალული გერმანელები.

უკანასკნელ საათს

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ტიხორეცკი და მაიკოპი

30 იანვარს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა, გადამწყვეტი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი ტიხორეცკი. ტიხორეცკში პირველნი შეიჭრნენ ოლკოვნიკ — ნ. ა. შვარევისა და პოლკოვნიკ ი. ა. შევჩენკოს შენაერთები.

ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი მაიკოპი. ქალაქ მაიკოპში პირველნი შევიდნენ 23-ე მსროლელი პოლკის ქვეგანაყოფები პოდპოლკოვნიკ პ. კ. კაზაკის მეთაურობით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 იანვრის საღამოს ცნობა

30 იანვარს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა, გადამწყვეტი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი **ტიხორეცკი,** რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური **ლადოჟსკა,** რაიონული ცენტრები—**არხანგელსკაია, ტბილისსკაია** და რკინიგზის სადგურები — **გრეჩიშკინო, მალორუსისსკაია.**

ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი **მაიკოპი. ვორონეჟის** ფრონტის ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი **ნიჟნედევიცკი,** რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური **ჩერნიანკა,** რაიონული ცენტრი **ნიჟნიაია ვედუგა,** რკინიგზის სადგური **ნიჟნედევიცკი.**

• • •

29 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპო ან დაზიანა გერმანელთა 180 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩახშო 10 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, დაამტვრია 9 ორთქლმავალი, ააფეთქა 3 საწყობი საომარ მასალიანად და 2 საწყობი საწვავიანად, ჩასძირა 4 ტრანსპორტი 35.000 ტონამდე საერთო წყალწყვისა, გაჰფანტა და ნაწილობრივ მოსპო მოწინააღმდეგის 3 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

დონის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ჰიტლერელთა დაჩაჩუნული ჯგუფების ყლეტას. ქალაქის ცენტრალური ნაწილის ახლოს საბჭოთა ქვეგანაყოფებმა სავსებით გასწმინდეს გერმანელებისაგან რამდენიმე ქუჩა. სტალინგრადის ჩრდილოეთით ჩვენი მებრძოლები მუდმივად ალყაშემორტყმული მტრის ნაწილების ნაშთების ყლეტას ამთავრებდნენ. დღის განმავლობაში ყველა უბანზე წამოყენილია ბევრი ტყვე. ტყვეებს შორის არის 206 გერმანელი ოფიცერი. თავის ნაწილში გაშვებული ერთი ტყვე იმავე დღეს დაბრუნდა და თან მოიყვანა 120 გერმანელი ჯარისკაცი, რომელთაც გადაეწყვიტნათ ტყვედ დანებებულყვნენ. სხვა უბანზე 2 გერმანელი სამხედრო ტყვე, თავიანთ ნაწილში გაშვებული, ჩვენი ჯარების განლაგებაში მოვიდა და თან მოიყვანა 300 გერმანელი ჯარისკაცი, რომელთაც იარაღი დაჭყარეს.

• • •

სამხრეთის ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა სძლიეს და ორი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. სხვა უბანზე 6 ნაწილის მებრძოლებმა მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის კონტრიერიში მოიგერიეს და 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს.

• • •

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ და ძალების ნაწილით მაგრდებოდნენ მიღწეულ ზღუდეებზე. 6 შენაერთმა ბრძოლებით წაიწია წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა. განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა ერთი დიდი დასახლებული პუნქტისათვის. მოწინააღმდეგემ ზედიზედ ხუთი კონტრიერიში მოიტანა. ჩვენმა ნაწილებმა გადამწყვეტი დარტყმით უკუაგდეს ჰიტლერელები და დაიკავეს ეს დასახლებული პუნქტი. მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა 200-მდე გვამი და 3 დაზიანებული მძიმე ტანკი.

• • •

ვორონეჟის დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. სადგურ დოლგაიაზე მათ ხელთ იგდეს 2 ეშელონი სამხარ მასალიანად და ბევრი დავლა, რომლის დათვლაც სწარმოებს. ურიცკოეს რაიონში ხელთ იგდეს 30 საწყობი სამხედრო ქონებიანად. გერმანიის სარდლობა ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს გადაარჩინოს თავისი ალყაშემორტყმული დივიზიები. გერმანელთა ნაწილების მეთაურებმა ბრძანება მიიღეს პატარ-პატარა ქვეგანაყოფებად გაარღვიონ ალყა და საფრად უნგრელები დასტოვონ ხოლმე. ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ერტყმიან გარშემო მოწინააღმდეგის ჯარებს, ხელთ იგდეს მრავალი ტყვე.

• • •

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ქალაქი ტიხორეცკი. 6 ნაწილის ტანკისტებმა ძლიერ გამგრძელებული დასახლებული პუნქტიდან განდევნეს გერმანელები. დაზიანებულია გერმანელთა 7 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი, მოსპობილია 8 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი მათი გუნდებიანად. სხვა უბანზე მსროლელმა შენაერთმა არტილერიისა და ნაღმსტყორცნების ცეცხლის საფარქვეშ წყლის ზღუდე გადალახა და ორი დიდი დასახლებული პუნქტი დაიკავა. ქუჩებში ბრძოლის დროს მოსპობილია ასობით ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 14 ქვემეხი, 21 ტანკსაწინააღმდეგო თოფი და 2 საწყობი სამხარ მასალიანად.

• • •

კალინინის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 2 ეშელონი ცოცხალ ძალიანად და ტექნიკიანად. დამტვრეულია ორი ორთქლმავალი და 33 ვაგონი. კალინინელ პარტიზანთა სხვა რაზმმა 6 საათის ბრძოლაში 50 გერმანელი ჯარისკაცი გაჟლიტა და მტრის 1 ტანკი და 1 სატვირთო ავტომანქანა დასწვა.

• • •

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ მხეცობის შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს როსტოვის ოლქის ხუტორ კრილოვში: „გერმანელმა ყაჩაღებმა გაძარცვეს და გააჩანაგეს ხუტორის მშვიდობიანი მოსახლეობა. სახლებიდან გამორეკეს კოლმეურნეები და წაართვეს მათ მთელი პირადი ნივთები. ჰიტლერელებმა კოლმეურნეობიდან გაირეკეს 98 ცხენი, 112 მუშა ხარი, 86 ძროხა, 108 ხბო, დაჭკლეს წვრილფეხა საქონელი და მთელი შინაური ფრინველი. ფაშისტმა ჯალათებმა დახვრიტეს ორდენოსანი კოლმეურნე პელაგია მარკოვსკაია მისი ვაჟიშვილიანად და ქმრიანად, 2 მოზარდი—ვლ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
30 იანვრის ღილის ცნობა

29 იანვრის ღამის განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

დონის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ჰიტლერელთა დაჭაჭული ჯგუფების მოსპობას. ქალაქ სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის ახლოს ჩვენი ქვეგანაყოფები გერმანელებისაგან ზედიზედ სწმენდენ უბნებს. 6 ნაწილის მებრძოლებმა ტყვედ ჩაიგდეს 450 ჰიტლერელი, მათ შორის ბევრი ოფიცერი. ცალკეული გერმანელი ოფიცრები სტო�ebენ თავიანთ ნაწილებს და ცდილობენ თავი დააღწიონ გარშემორტყმას. ფრონტის ნაზის მახლობლად შეპყრობილია ჯარისკაცის ტანსაცმელადაცმული გერმანელ ოფიცერთა ჯგუფი. მათ მებადრაგის სახით მიჰყვებოდა გერმანელი ჯარისკაცი, რომელსაც წოდელარმიელის ფორმა ეცვა. ჰიტლერელთა მთელი ეს ჯგუფი წამოყვანილია ტყვედ.

* * *

სამხრეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. დონის ქვემოწელის რაიონში საბჭოთა ნაწილებმა მოიგერიეს გერმანელთა ქვეითი ჯარის რამდენიმე კონტრიერიში, ამასთან მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. სხვა უბანზე 6 შენაერთის მებრძოლებმა შემოუარეს გერმანელთა მძლავრ სიმაგრეებს და უეცარი დარტყმით დაიკავეს ორი დასახლებული პუნქტი.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით. 6 ნაწილმა მოწინააღმდეგესთან გააფთრებულ ბრძოლაში მოსპო 200-მდე ჰიტლერელი და გერმანელთა 4 ტანკი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები. ჩვენმა მეავტომატიკებმა ლეიტენანტ გლუშკოს მეთაურობით შეაღწიეს გერმანელთა მიერ დაკავებულ სოფელში და გაანადგურეს მოწინააღმდეგის ნაწილის შტაბი. მეავტომატეებმა ხელთ იგდეს დოკუმენტები და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეგანაყოფში.

* * *

ვორონეჟის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. 6 შენაერთმა დაიკავა 40 დასახლებული პუნქტი. ტყვედ წამოყვანილია 600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 26 ქვემეხი, 38 ნაღმსატყორცნი, 104 ავტომანქანა, 68 მოტოციკლი, 4 რადიოსადგური, 2.130 ველოსიპედი და 13 საწყობი. სხვა უბანზე საბჭოთა ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე 6 შენაერთის ნაწილებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოწინააღმდეგე ცდილობს

ავაგოთ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველოს“

სახსრების შეგროვება გრძელდება

ემზადებიან რა წითელი არმიის XXV წლისთავის ღირსეულად შესახვედრად, გუდაუთის რაიონის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ აგების ფონდში შეიტანეს 2.463.000 მანეთი. თანხების შეგროვება მიმდინარეობს.

საქ. კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომის მდივანი კოკაია

ქარელის რაიონის მშრომელებმა 1.416.000 მანეთი შეიტანეს

ქარელის რაიონის მშრომელ მოსახლეობაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობის ფონდში თანხების შეტანა. 29 იანვრისათვის რაიონის მშრომელების მიერ სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში შეტანილი იყო 1.416.000 მანეთი. სოფ. დირბი პირველის კოლმეურნეობის წევრებმა საბრძოლო თვითმფრინავთა მშენებლობის ფონდში შეიტანეს 60.000 მანეთი, სოფ. ფცის კოლმეურნეობის წევრებმა — 50.000 მანეთი, რუისის წინუბნის კოლმეურნეობის წევრებმა — 45.000 მანეთი და ღოღეთის კოლმეურნეობის წევრებმა — 35.133 მანეთი.

სახსრების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი დევიძე

პაგრიოტული თაოსნობის პასუხად

წყალტუბოს რაიონის მშრომელებმა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ აგების ფონდში შეიტანეს 1.500.000 მანეთი.

თანხების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის მდივანი ტოგონიძე

პაგრიოტული აღფრთოვანებით

ყვარელი (ტელეფონით). 30 იანვრისათვის საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობის ფონდში შეგროვებული იყო 900.000 მანეთი. ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ორი დღის განმავლობაში 86.000 მანეთი შეაგროვეს, ამ კოლმეურნეობის წევრმა ს. დოლმაზაშვილმა 10.000 მანეთი შეიტანა. 20.000 მანეთი შეიტანა ახალსოფლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კ. შეყელაძემ, ხოლო კოლმეურნე ნ. ხუციშვილმა, რომელმაც სატანკო კოლონის მშენებლობისათვის 15.000 მანეთი შეიტანა, ახლა 50.000 მანეთი შეიტანა ესკადრილიების მშენებლობისათვის. სოფ. ხაშალხუთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. აბდულ ფერიმ ტურიოღლიმ შეიტანა 6.500 მანეთი, სოფ. წიწკანანთსერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ერ. დიოეგამ — 2.000 მანეთი.

სახსრების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი ა. ავაზაზვილი

ცრუ ადვოკატი ყარაჩაი ანკარის ადვოკატთა კოლეგიიდან გარიცხეს

ანკარა, 29 იანვარი (საკადესი). 26 იანვარს ანკარის ადვოკატთა კოლეგიამ სპეციალურ სხდომაზე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს ზნა ყარაჩაის ადვოკატთა კოლეგიიდან გარიცხვას.

როგორც ცნობილია, ცრუ ადვოკატი და გერმანიის აგენტი ზია ყარაჩაი, რომელიც პაპენზე „თავდასხმის“ საქმის გამო მოწყობილ ანკარის პირველ პროცესზე ბრალდებულ ადურაჰმანის დამცველად გამოდიოდა, პროცესის დამთავრების შემდეგ ანკარის ადვოკატთა კოლეგიამ გარიცხა კოლეგიის შემადგენლობიდან, რადგანაც გამოირკვა, რომ იგი ადვოკატის პრაქტიკას არ მისდევდა და არა ჰქონდა ადვოკატის კანტორა. ამავე „საქმის“ გამო ანკარის მეორე პროცესზე ყარაჩაიმ სიცრუე განაცხადა, ვითომდა ახლა უკვე აქვს კანონით დაწესებული კანტორა. ანკარის სასამართლომ ეს განცხადება არ შეამოწმა და მონაწილეობა მიიღებინა ყარაჩაის პროცესში. ანკარის ადვოკატთა კოლეგიის მიერ შემდეგში წარმოებულმა გამოძიებამ ცხადჰყო, რომ ყარაჩაის ადვოკატის კანტორა არა ჰქონია და რომ მან ტყუილი განაცხადა ანკარის სისხლის სასამართლოში. ადვოკატთა კოლეგიამ დაადასტურა თავის წინანდელი გადაწყვეტილება კოლეგიიდან ყარაჩაის გარიცხვის შესახებ.

ამის გამო უცნოელ ჟურნალისტთა წრეებში გაკვირვებას გამოსთქვამენ, როგორ შესძლო ამ აშკარა გაიძვერამ სასამართლოში გამოსვლა.

ჰიტლერული პრესა განგაშსა სცემს

ჟენევა, 29 იანვარი (საკადესი). გერმანულ ფაშისტურ პრესას უკვე არ ძალუძს დამალოს ჰიტლერელთა ჯარების დამარცხებანი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. პრესის გამოსვლების ტონი მოწმობს ჰიტლერელთა მისწრაფებას — მოამზადონ მოსახლეობა კიდევ უფრო ცუდი ცნობებისათვის ფრონტიდან. გაზეთმა „ფოლკიშერ ბეობახტერმა“ მოათავსა სტატია, რომელშიც აცხადებს, რომ „გერმანელი ხალხისათვის ილუზიების დრომ უკვე დიდი ხანია განვლო“. გაზეთი აღიარებს, რომ გერმანიის არმია მძიმე დარტყმებს განიცდის. „ჩვენ ვიცით,—ნათქვამია სტატიაში,—თუ რა მძიმე კრიზისი გადაიტანა გერმანიის არმიამ გასულ ზამთარს. ახლა საბჭოთა რუსეთმა კვლავ დაიწყო საზამთრო შემოტევა უდიდესი მასშტაბებით. გერმანელი ჯარისკაცები იძულებული არიან თავი დაიცვან მძიმე ბრძოლებში, მტრის წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე საშიში და ყველაზე შეუპოვარია გერმანიის შეიარაღებული ძალების ყველა მოწინააღმდეგეთა შორის. გერმანიის ფრონტი აღმოსავლეთში ამჟამად ყველაზე მძიმე განსაცდელს განიცდის, როგორიც კი როდისმე გადუცია რომელიმე არმიას. გერმანიის ჯარები ისეთი ძალის შემოტევას განიცდიან, როგორიც მათგან უმაგალითო დაძაბვას მოითხოვს“.

ასეთივე შეშფოთებული ტონით აფასებს გერმანელთა მდგომარეობას ფრონტზე სხვა ჰიტლერული გაზეთიც — „ბერლინერ ბერზენციატუნგი“. გაზეთი სწერს, რომ „წელს სამხრეთის ფრონტი, ის ფრონტი, სადაც სტალინგრადის რაიონში და კავკასიაში გერმანელთა ჯარები შემოდგომის მიწურულამდე გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ და, მიუხედავად ამისა, სტრატეგიული წარმატების მიღწევა ვერ შესძლეს,—გერმანიის არმიისათვის კრიტიკული პუნქტი აღმოჩნდა“. გაზეთი ცდილობს ანუგეშოს მკითხველი იმით, რომ „ამგვარი მარცხები, როგორიც ამჟამად წილად ხვდა გერმანიის არმიას აღმოსავლეთის ფრონტზე, გარდუვალია ისეთი მასშტაბების ომში“. გაზეთი იხსენიებს, რომ „გასულ ზამთარშიც იყო ამის მსგავსი რამ“, და პირდაპირ აღიარებს, რომ „ახლა გერმანიის არმია ისეთ მარცხს განიცდის, რომელსაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, და ის, რისი განცდაც მას უხდება, აღემატება ყოველივეს, რაც უკვე გადატანილ იქნა მის მიერ ამ მძიმე ომში“.

გაზეთები აღსავსე სასოწარკვეთილი მოწოდებით გერმანელებისადმი — უკიდურესობამდე დაძაბონ ძალ-ღონე, რათა მდგომარეობა გამოასწორონ. „ზურგმა, — სწერს ხსენებული „ფოლკიშერ ბეობახტერი“,—იმ უკიდურეს ზომამდე უნდა დაძაბოს ძალ-ღონე, რომელიც ამჟამად აუცილებელია, ვინაიდან ფრონტი უკვე უკიდურესობამდე ძაბავს თავის ძალებს“. გაზეთი უჩივის იმას, რომ ბევრი გერმანელი პასიურად იქცევა, „არა სურთ ხელი აიღონ ისეთ გადაჭარბებულობაზე, როგორიც არის თეატრები, და იმასაც კი ბედავენ, რომ სპორტს მიაღიონ“. ჰიტლერული ორგანო მუქარით აფრთხილებს მოსახლეობას, რომ, თუ საჭირო გახდა, „ისეთი სისასტიკე იქნება გამოყენებული, რომელიც არაფერს არ დაერიდება. ტალანქი ჯერკოტალანქი ცულით უნდა იქნას დამუშავებული. ბევრი სახის სისასტიკე არა მარტო ჯარისკაცებს აქვთ ნებადართული“. „ფოლკიშერ ბეობახტერს“ ბაზს აძლევს გაზეთი „ბერლინერ ბერზენციატუნგი“. იგი სწერს, რომ „ახლა საჭიროა ბოლო მოეღოს ყოველგვარ პრეტენზიას რაიმე კეთილ-ცხოვრებაზე“ და რომ „გერმანელებს მოეთხოვებათ არა მარტო ის, რომ იმეორონ სიტყვები ტოტალური ომის შესახებ, არამედ ისიც, რომ თავის თავზე გამოსცადონ იგი“.

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 29 იანვარი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ტუნისში მოქმედმა ამერიკელთა ჯარებმა, რომლებიც მარტის ხაზის მიმართულებით მიიწევენ, მიაღწიეს რკინიგზის სადგურ მაკნასს, რაც ამ ხაზის ჩრდილო-დასავლეთით 75 მილზე მდებარეობს. მტრის ჯარები, რომლებიც ქალაქ ტუნისის მიმართულებით იხევენ, გაფანტულ იქნენ, ხოლო მათი ნაწილი წამოყვანილია ტყვედ. მეჯიზ-ელ-ბაბისა და დე-ბუ-არადის რაიონში ინგლისის ჯარები მნიშვნელოვან აქტივობას იჩენდნენ.

გენერალ ჟირის მთავარი შტაბის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ ფრანგთა ჯარებმა კვლავ დაიკავეს ფორტ-სენი, რომელიც ტუნისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს.

ნიუ-იორკი, 29 იანვარი (საკადესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა განაცხადა, რომ ტუნისში მოქმედი ამერიკელთა ჯარების ზარალი აღწევს 1.258 კაცს, მათ შორის 211 კაცი მოკლულია, 532 დაჭრილია, 515 კაცი კი უკვალოდ დაიკარგა. აქედან 226 კაცი ტყვედ არის წაყვანილი.

ლონდონი, 30 იანვარი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ საპატრულო ოპერაციების დროს ინგლისის მოწინავე რაზმებმა ტუნისის საზღვარი გადალახეს.

ავიაციამ გააფთრებული თავდასხმა მოახდინა სფაქზე. დაბომბვა 30 წუთს გაგრძელდა. შემჩნეულია ბევრი პირდაპირი მოხვედრა მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებზე. ესკადრილიის ვიში ავიაციამ ტყვიამფრქვევები დაუშინა მტრის ქვეითს ჯარსა და საარტილერიო პოზიციებს.

მარსელელთა გმირული წინააღმდეგობა ჰიტლერელ ოკუპანტებისადმი

ჟენევა, 30 იანვარი (საკადესი). იტალიური ფაშისტური გაზეთი „პოპოლო დი რომა“, ეხება რა გერმანელი ოკუპანტების მიერ მარსელის ათეულ ათასობით მცხოვრების აწიოკებას-ტერტას, ყოველნაირად ხოტბას ასხამს ჰიტლერელთა ამ ახალ ბორიტმოქმედებას. გაზეთი აღიარებს, რომ ვიშის რეჟიმის ორნახევარი წლის განმავლობაში არსებობის მიუხედავად, მან ვერ შესძლო დაემორჩილებინა ფრანგი ხალხი ჰიტლერული „ახალი წესრიგისადმი“. ფრანგ ხალხში,—სწერს გაზეთი,—ბატონობს „მტრული სულისკვეთება“, რომლითაც გაჟღენთილი იყო მარსელის მოსახლეობაც, განსაკუთრებით ძველი ნავსადგურის უბნების მოსახლეობა. „ამ უბნების მცხოვრებნი, — სწერს გაზეთი,—არა სცნობდნენ ხელისუფლებს და ვიშში ჰყავდათ საოკუპაციო ხელისუფალნი და პოლიცია. როცა საოკუპაციო ხელისუფლებმა საჭიროდ დაინახეს შეეცვალათ წესრიგი მარსელის ძველი ნავსადგურის ზონაში და გადაესახლებინათ იქიდან 40.000 მცხოვრები, მაშინ რაღაც წარმოუდგენელი მოხდა. ბევრი გადასახლებული ისევ შეიჭრა თავის უბნებში და თავის სახლებში; მათ ბარიკადები მოაწყეს, ტყვიამფრქვევები დაუშინეს პოლიციასა და ჯარისკაცებს და გააქციეს ისინი. ამის გამო აუცილებელი გახდა გერმანიის შეიარაღებული ძალების ამოქმედება“. ფაშისტური ორგანო უსაყვედურებს პეტენსს და ლავალს „მთავრობას“: მარსელში დატრიალებული ამბები იმის შედეგს წარმოადგენენ, რომ მათ „არასაკმაო ენერგია“ გამოიჩინეს ფრანგი ხალხის წინააღმდეგობის ჩახშობაში და ღირძის სახელმწიფოებთან „თანამშრომლობის პოლიტიკის“ განხორციელებაშიო.

გერმანელები ქვემეხებს უშენენ მარსელის ძველ ნავსადგურს

ნიუ-იორკი, 29 იანვარი (საკადესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, საფრანგეთის საზღვრიდან მიღებული ცნობებით, გერმანიის არტილერიამ შუადღისას დაიწყო ყუმბარების დაშენა მარსელის ძველი ნავსადგურისათვის. არტილერიის დაშენა შუაღამემდე გრძელდებოდა. ბევრგან გაჩნდა დიდი ხანძარი. მოკლულია 280-ზე მეტი მცხოვრები, მათ შორის სულ ცოტა—70 ქალი. ქალაქში დაპატიმრებულია კიდევ 450 კაცი. ისინი მძევლებად გამოაცხადეს. 12 მათგანმა თავი მოიკლა.

შვედური გაზეთი შვეიციით გერმანიის ჯარების ზრანზიჟის შესახებ

სტოკჰოლმი, 26 იანვარი (საკადესი). შვედურმა გაზეთმა „ტროტს ალტმა“ გამოაქვეყნა კარგად ინფორმირებული წყაროდან მიღებული ცნობები შვეიციაზე ტრანზიტით გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გატარების შესახებ „შვებულებაში მიმავალთა“ სახით.

— მატარებლები, — სწერს გაზეთი, — განრიგების მიხედვით მიდის ორი ხაზით. გაუგებარია, როგორ შეიძლება გერმანიის ჯარების გადაყვანას დაერქვას „შვებულებაში მიმავალთა“ მგზავრობა. საინტერესო იქნებოდა გვენახა შვეიცია-გერმანიის ოფიციალური ხელშეკრულება. ეს მგზავრობა დაიწყო 1940 წლის ივნისის პირველ რიცხვებში, მაგრამ რიკსდაგს მხოლოდ 21 ივნისს აცნობეს შეთანხმების შესახებ, ხოლო ცნობა ამ შეთანხმების შესახებ მხოლოდ ივლისის დამდეგს გამოქვეყნდა.

თუ ჩავთვლით, რომ შვეიცაზე საშუალოდ ყოველდღიურად 200-მდე კაცი გაივლის, მაშინ მივიღებთ ციფრს, დაახლოებით 200.000-ს. როგორც აცხადებენ, საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, ეს ციფრი ფაქტიურად გაორმაგებით უფრო დიდია. ჯარისკაცებიან მარშრუტებს გარდა, შვეიციაზე დღე-ღამეში გაივლის რამდენიმე მატარებელი, დატვირთული გერმანიის სამამრი მასალებით.

ისააკ ნიუტონი
(დაბადებიდან 300 წლისთავის გამო.)



უდიდესი ინგლისელი მათემატიკოსი, ასტრონომი და ფიზიკოსი ისააკ ნიუტონი დაიბადა 1643 წელს სოფ. ვულსტორპში (ლინკოლნის საგრაფო) ღარიბი ფერმერის ოჯახში. ქალაქის სკოლის დამთავრების შემდეგ [illegible] 1661 წელს იგი შედის კემბრიჯის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტს ამთავრებს წარმატებით, ღებულობს ჯერ ბაკალავრის, შემდეგ მაგისტრის ხარისხს, 1669 წლიდან კი იგი კემბრიჯის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის კათედრის პროფესორია.

ნიუტონის ღვაწლი ფიზიკისა და მათემატიკის დარგში განუზომელია. ნიუტონი უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვის ერთ-ერთი ფუძემდებელია (მისგან დამოუკიდებლად და მასთან ერთდროულად უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვის მეთოდი აღმოაჩინა ლაიბნიცმა). ნიუტონს უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვა დამუშავებული ჰქონდა ეგრეთწოდებული ფლუქსიების აღრიცხვის სახით. ეს აღმოჩენა მეტადრილ იყო დაკავშირებული ნიუტონის სხვა მათემატიკურ ნაშრომებთან და, კერძოდ, იმ ნაშრომებთან, რომლებიც შეეხებოდა მწკრივებს, ნიუტონმა ბინომის დაწლის წესი გაავრცელა წილარ და უარყოფითი მაჩვენებლების შემთხვევაზე.

ნიუტონს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე თეორიული მექანიკის წინაშე.

ნიუტონი თავის შესანიშნავ მეცნიერულ მუშაობაში დიდ ადგილს უთმობდა მნათობთა მოძრაობის დაკვირვებას. ამასთან დაკავშირებით ნიუტონს უხდებოდა ტელესკოპზე მუშაობა, ოპტიკის საკითხების დამუშავება. 1666 წელს ამ მუშაობამ იგი მიიყვანა სინათლის თეორი სხივის დაშლის შესანიშნავი ცდის ჩატარებამდე. მან აჩვენა, რომ ვიწრო ნახვრეტით [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...